სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №10
2020 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15.06.2017, 010240060.57.069.016110) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამ ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ^2“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^2) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია (შემდგომში – ელექტრონული გარანტია) – სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტის მიერ სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების, ხოლო ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარების შემთხვევაში – შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით;“.

2. ბრძანების №2 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებას თანდართული დანართით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 მარტიდან და გავრცელდეს 2020 წლის 1 მარტიდან გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

დანართი №2

იმ სამუშაოსა და მომსახურების CPV კოდები, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე

№	CPV კოდი	CPV კოდის დასახელება
1	45200000 *	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
2	45500000	სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება
3	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან

		დაკავშირებული მომსახურებები
4	50200000	თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
5	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
6	50500000	ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
7	50700000	შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
8	51700000	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი
9	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
10	65100000	წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
11	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
12	79500000	ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
13	85100000	ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები
14	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები

* აღნიშნულ CPV კოდზე ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ითვალისწინებს მხოლოდ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოს ან/და საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე ან/და პერიოდული შეკეთების სამუშაოს ან/და ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონასა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში შესასრულებელ სამუშაოს.